ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის 2019-2022 (PGGII)

რეგიონული პროექტი: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალებისათვის: სტამბოლის კონვენციისა და გენდერული თანასწორობის სხვა ევროპული სტანდარტების განხორციელება

პროექტის მიზანი

- მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის განმტკიცება ქალებისათვის, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის, ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის შესაბამისად და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ სტამბოლოს კონვენციის რატიფიცირებაში წვლილის შეტანა.

პროექტის ბენეფიციარები

- საზოგადოება
- ძალადობის მსხვერპლი ქალები
- მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი უფლებადამცველები
- იურისტები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მუშაობენ.

პროექტის განხორციელების გზები

- ეროვნულ დონეზე სახელმწიფო ორგანოებთან ორმხრივი მუშაობა და რეგიონულ დონეზე პრაქტიკის გაცვლა
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე წვდომის საკითხზე მენტორობის პროგრამების შემუშავება მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, ასევე ტრენინგ პროგრამების შემუშავება იურიდიული დახმარების ცენტრის ადვოკატებისათვის
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში გენდერულად სპეციფიკური საკითხების გათვალისწინება სამართლის სკოლების კურიკულუმებში
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოების

პროექტის მოსალოდნელი მიღწევები

- სახელმწიფო ორგანოები, მართლმსაჯულების სფეროს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყენებენ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ახალ კომპეტენციებს, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრის მიზნით.
- სახელმწიფო ორგანოები, მართლმსაჯულების სფეროს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იღებენ ზომებს, მათ შორის ტრენინგების განხორციელებისას, რათა მართლმსაჯულების სისტემა რეაგირებდეს გენდერულად სპეციფიკურ საჭიროებებზე, განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებზე, სტამბოლის კონვენციისა და სხვა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

http://partnership-governance2-eu.coe.int

კომპეტენციების გაუმჯობესება ქალების მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზომვის კუთხით.

პროექტის ღირებულება

- პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 1 071 000 ევრო.
- 80% დაფინანსებულია ევროკავშირის, ხოლო 20% დაფინანსებულია ევროპის საბჭოს მიერ. პროგრამა ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ.

პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი 2019 წლის იანვარში დაიწყო და 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლიტ გრძელდება.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

- ევროპის საბჭოს დემოკრატიის II გენერალური დირექტორატი, შესაძლებლობების განვითარებისა და თანამშრომლობის განყოფილების გენდერული თანასწორობის სექცია

საკონტაქტო ინფორმაცია

<u>პროექტის გუნდი სტრასბურგში</u>

- მართა ბეჩერა,განყოფილების ხელმძღვანელი marta.becerra@coe.int
- ანკა სანდესკუ, პროექტის ხელმძღვანელი anca.sandescu@coe.int

აღნიშნული პროექტი არის რეგიონული პროექტი, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (აზერბაიჯანი, ბელარუსი[1], მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) და ხორციელდება პროგრამის, "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის", მეორე ეტაპის (PGGII) ფარგლებში.

2014 წლის აპრილში ევროკავშირი და ევროპის საბჭო შეთანხმდნენ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან - აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა - თანამშრომლობის მიზანმიმართული ღონისძიებები განხორციელდება პროგრამის "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" ფარგლებში. პროგრამის პირველი ეტაპი (PGGI) დაიწყო 2015 წელს და დასრულდა 2018 წელს. პროგრამის მეორე ეტაპი (PGGII) დაიწყო 2019 წელს და 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით.

თანამშრომლობის ღონისძიებები მიზნად ისახავს, განამტკიცოს ევროპის საბჭოს წევრი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (გამონაკლისია ბელარუსი) შესაძლებლობა, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, განახორციელონ შიდა რეფორმები ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

---

[1] ბელარუსში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ევროკავშირის მიერ მიღებული ზომების შესაბამისად ქვეყანასთან თანამშრომლობის ღონისძიებები დროებითშეჩერებულია და PGG II -ის განხორციელების პერიოდში სხვა აქტივობები არიგეგმება.